N 01/4061
31/08/2020

4061-01-2-202008311705

ქ.თბილისი

M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №3

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში - რევაზ მოსეშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი ფინანსურ საკითხებში - მაია ხაჩირაშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში - მალხაზ ჩარკვიანი;
კომისიის წევრი, დირექტორი (მთავარი ინჟინერი) - გიორგი ტალახაძე;
კომისიის წევრი, კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - ანნა ლომჯარია;
კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - გიორგი დოლიძე;
კომისიის სხდომის მდივანი, აპარატის წევრი, შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - დაჩი კობახიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი - გიორგი შარკოვი;
კომისიის წევრი, დირექტორი ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში - პაატა ბეჟანიშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი მეტროპოლიტენისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციის საკითხებში - გრიგოლი ხუცურაული.
კომისიის წევრი, გენერალური დირექტორის მრჩეველი - გიორგი ბეჟიაშვილი;

დღის წესრიგი:

- ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით **M2 კატეგორიის ავტობუსების (NAT200010113)** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ - ს (ს/ნ204478948)** მიერ დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობით გამოწვეული შედეგის განხილვა.

მოისმინეს:

- სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - დაჩი კობახიძის ინფორმაცია, **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ - ს** მიერ წარმოსადგენი დაზუსტებული დოკუმენტაციის შესახებ.

აღინიშნა:

- **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ - ს** სატენდერო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში **(არაუგვიანეს 2020 წლის 27 აგვისტო)** დაზუსტებული დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

კომისიამ დაადგინა:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განხორციელდეს **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ - ს** დისკვალიფიკაცია სატენდერო პროცედურიდან.

- აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისთვის შეტყობინებად, რომელიც ეგზავნება პრეტენდენტს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის გზით და რომელიც ითვლება მიღებულად მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

რევაზ მოსეშვილი

დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში

გიორგი ტალახაძე

დირექტორი (მთავარი ინჟინერი)

გიორგი დოლიძე

სამსახურის უფროსი

დაჩი კობახიძე

ტენდერებისა და ანგარიშგების მთავარი სპეციალისტი

ანნა ლომჯარია

სამსახურის უფროსი

მაია ხაჩირაშვილი

დირექტორი ფინანსურ საკითხებში

მალხაზ ჩარკვიანი

დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში